საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზემო ქლივანა

ზემო ქლივანა, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ღრომის თემში (შიდა ქართლის მხარე). ზ. დ. 1230 მ, ერედვიდან 32 კმ. 9 მცხ. (1989). სოფლის მახლობლად დგას XIII–XIV სს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – სამნავიანი ბაზილიკა. ნაგებია სხვადასხვა ზომის ქვით. თაღები და გადახურვა აგურითაა ამოყვანილი. ინტერიერი ბოძების ორი წყვილით დაყოფილია სამ ნავად. შუა ნავი, რ-იც აფსიდით მთავრდება, მაღალია და ვიწრო, ასევე ვიწროა მასზე ბევრად დაბალი გვერდის ნავებიც, რ-თა აღმ. მონაკვეთში ორ სართულად განლაგებულია მცირე სათავსები. ბოძების იმპოსტები პროფილირებულია. შუა ნავის აღმ. და დას. კედლებში გაჭრილი ვიწრო და ძალიან მაღალი სარკმლები ხაზს უსვამს მის მოხდენილ პროპორციებს. ფასადების მორთულობა ძუნწია; მხოლოდ აღმ. და დას. სარკმლებს აქვს ფართო პროფილირებული საპირეები. დას. კარის მომწვანო-მოყვითალო ტიმპანის ქვაზე გამოხატულია წრეში მოქცეული ბოლოებგაფართოებული რელიეფური ჯვარი. ფასადები მთავრდება პროფილირებული კარნიზებით. ეკლესია შიგნით მოხატული იყო, ფრაგმენტი შემორჩენილია აღმ. სარკმლის ღიობში.

ლიტ.: М е п и с а ш в и л и Р., Ц и н ц а д з е В., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида-Картли, Тб., 1975.

რ. მეფისაშვილი